



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

გოგოლაშვილი შოთა მინას ძე



გოგოლაშვილი შოთა მინას ძე (28. V. 1927, თბილისი, – 28. I. 2007, იქვე), კინოს მხატვარი, ფერმწერი, გრაფიკოსი. საქართვე. დამს. მხატვარი (1970).

დაამთავრა თბილ. სამხატვრო აკადემია (1956). მისი პედაგოგები იყვნენ ა. ციმაკურიძე, კ. სანაძე.

შ. გოგოლაშვილი "ჩანახატი". XX ს. 80-იანი წლები კერძო კუთვნილება.

1957-იდან იყო კინოსტუდია „ქართული ფილმის“ მხატვარი. გააფორმა ფილმები: „ხევსურული ბალადა“ (1965), „მალე გაზაფხული მოვა“ (1967), „დიდოსტატის მარჯვენა“ (კ. ხუციშვილთან ერთად, 1969), „ნუთისოფელი“ (1971), „ივანე კოტორაშვილის ამბავი“ (1974), „მოხეტიალე რაინდები“ (1975), „წინაპართა მიწა“ (1979), „წერილები ბამიდან“ (1980), „ფესვები“ (1986), „აშული ქერიბი“ („აშიკი ქერიბი“, 1988, მხატვრობისათვის მიღებული აქვს ევროპული კინოს პრიზი (ბერლინი), „ვალსი პეჩორაზე“ (1990) და სხვ.

გ-ის ნამუშევრებისათვის დამახასიათებელია: მახვილი კომპოზიცია, კადრის სივრცის შეგრძნებისა და გადმოცემის უნარი. მისი დაზგური ნამუშევრებია: „წისქვილი“ (1986, საქართვე. ეროვნული გალერეა); „გზა“ (1985); „სვანეთი“ (1986) – ორივე ა. პუშკინის სახ. ხელოვნ. მუზეუმი, მოსკ.